

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ პირველი სვირის მიმდებარედ  
მდინარე ყვირილას წყალდიდობის შედეგად განვითარებული ჰიდროლოგიური  
პროცესების შეფასება**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ პირველი სვირის ტერიტორიაზე მდინარე ყვირილას წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ნაპირების შეფასების მიზნით, 2021 წლის 26 მარტს გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტებმა ადგილზე შეაფასეს არსებული მდგომარეობა.

დასავლეთ საქართველოში 2021 წლის 24-25 მარტს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო (ინტენსიური წვიმები), მდინარე ყვირილაზე წყალდიდობა მოხდა. ეროზირებული უბანი მდ. ყვირილაზე ზესტაფონი-ბაღდათის დამაკავშირებელი ხიდის X – 332349,341 Y – 4665072,505 ქვევით მდებარეობს.

წყალდიდობის შედეგად სოფელ პირველ სვირთან, მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე განვითარდა ინტენსიური წყლისმიერი გვერდითი ეროზია. აღნიშნული კოორდინატების ფარგლებში X – 331536.325 Y – 4665910.726; X – 331544.999 Y – 4665914.767 ეროზიული უბნის სიგრძე შეადგენს 430 მეტრს. სტიქიამ ამ მონაკვეთზე წააქცია ელ. გადამცემი ხაზები და წაიღო გრუნტის საფარიანი საავტომობილო გზა. ასევე სტიქიამ ძველი ხიდის ბურჯი დააზიანა X – 332131.902 Y – 4665635.192;



სურ. N 1 მდ. ყვირილა სოფ. სვირთან



სურ. N 2 მდ. ყვირილა სოფ. სვირთან



სურ. N 3 მდ. ყვირილა დაზიანებული გზა



სურ. N 4 მდ. ყვირილა დაზიანებული გზა



სურ. N 5 მდ. ყვირილა დაზიანებული ელ. ბოძი



სურ. N 6 მდ. ყვირილა დაზიანებული ელ.ბოძი





სურ. N 7 მდ. ყვირილა სოფ. სვირთან

წყალდიდობა მდ. ყვირილაზე 2021 წლის იანვრის თვეშიც დაფიქსირდა, ხოლო 24-25 მარტს განმეორებულმა წყალდიდობამ კი ეროზიული პროცესები კიდევ უფრო გაააქტიურა და ჯამში ორივე სტიქიის შედეგად მდინარემ 2,5 ჰექტარი ფართობის მიწა მორეცხა.

გასული საუკუნის 60-იან წლების 1:25 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის, სხვადასხვა წლების ორთოფოტოების შედარების და ანალიზის საფუძველზე, აღნიშნულ ტერიტორიაზე ფიქსირდებოდა მდინარის 2 ტოტი. მარცხენა ტოტი უფრო დიდი იყო, ხოლო მარჯვენა შედარებით პატარა. მდინარე ყვირილას კალაპოტში მიმდინარე კალაპოტური პროცესების (წყალდიდობის) გამო წყლის ნაკადი გადავარდა უკიდურეს მარჯვენა მხარეს, რამაც ხელი შეუწყო ინტენსიური გვერდითი ეროზიის დაწყებას.


საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული უბნის ზევით  $X - 332131.902$   $Y - 4665635.192$ ;  $X - 332335,551$   $Y - 4665237,535$  440 მეტრის მანძილზე შეინიშნება ეროზიული პროცესების გააქტიურება, რომელიც რამდენიმე წელიწადში შეუქცევად ხასიათს მიიღებს.

#### **რეკომენდაცია:**

წყალდიდობის შედეგად ეროზირებულ უბანს ესაჭიროება დაუყოვნებლივ აღდგენა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება.

კოორდინატის მიმდებარედ ( $X - 331909.951$   $Y - 4665534.348$ ) უნდა ჩატარდეს მდინარე ყვირილას კალაპოტის გასწორხაზოვნება და ერთი ნაკადის პირვანდელ კალაპოტში დაბრუნება.

მლ. ყვირილას სიტუაციური ნახაზი 26.03.2021  
1:25 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა



პირველი საფეხური

128.35

• სიმაღლითი ნიშნული

▨ სტიქიის შედეგად გორავხილი ტერიტორია

მასშტაბი 1: 6 000 WGS 84 UTM ZONE 38 N



გვ. ყვინილას სიტუაციური ნახაზი 26.03.2021  
2000 წელს გადაღებული სატელიტური გამოსახულება

127.63 130.24 129.53 130.15 130.3  
128.56 127.66 130.28 130.38 130.63 130.64  
130.77 131.61  
130.73  
132.14 132.56  
132.53  
133.37 134.29  
127.42

სტიქიის შედეგად მორეცხილი ტერიტორია

სიმაღლითი ნიშნული

მასშტაბი 1: 6 000 WGS 84 UTM ZONE 38 N



მდ. ყვირილას სიბუჯნოვრი ნახაზი 26.03.2021  
თანამედროვე ამროვოტო გემონახულება

